

შინაური საქმეები

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი.

№ 24.

კვირა, ნოემბერი 2, 1908 წ.

ფასი წლიურად — — 4 მან.

ნახევარი წლით — 3 მან.

ეს ლექსი ნომერი ღირს 8 კანკიკით.
აღრები: ქუთაისი „შინაური საქმეების“
 რედაქცია.

შინაური: ქუთაისი 2 ნომბერი (მოწინავე); მაგალითი ყოველად სამღვდლო გავრცელების უხვი მოწყობებისა; პირველი ფურცელი ბიბლიისა (პროფესორ ბეტეცისა) გავრცელება—ონოფრე მწიროსა; ქართლ-კახეთის სამღვდლოების მომავალი კრების საყურადღებო—სარკინელისა; უმთავრესი ხელოვნური მიწის სასუქები და მათი მოხმარება მეურნეობაში—ნ. მკურნალისა; წმ. დავით და კონსტანტინე (დასასრული)—მღ. მ. კელენჯერიძისა; საუკუნო ყარობი (რუსულით)—ნაცარყანელისა; გმუნვა (ლექსი)—რ. საჯავახოელისა.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ ქურნალის წლიური ფასი.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

„შინაური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მან. ცალკე ნომერი ღირს 8 კაპ აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

ათაისი 2 ნომბერი.

კიდევ ეკსპროზირიცია, კიდევ შანტაჟი, კიდევ უსახელო წერილები და მუქარები, თუ ფულს არ გადავებთ! და როდის ექნება ამ უბედურებას დასასრული, როდის დადგება დრო თავისუფლად ამოსუნთქვისა, როდის გვეღირსება სულის მშვიდობა!? როდის, როდის შევიძლებთ წესიერების დაძვარებას? რაღაც მოეჩინება, მოვადლოვებულ თავდადებართზე მივსცურავთ სამინჯლის სისწრაფით, თავდადებართზე რომლის დასასრულს მოსხანს საძინელი ჯურ-

ღმული, საუსე სანძიარ მხეცებითა და უნახებითა. მივსცურავთ მხიარულათ, სიცილ-სარსარით, ხუმრობა-ლახლანდრობით, ვითომ მანძადის სამოთხეს ვუახლოვდებით, სადაც დაუღვენელი ბედნიერება, მოსვენება და სიამოვნება მიგველის შავთვალა ლამაზ ქალთა შორის, მშვენიერ ბაღში მსიბლავ-თვალწარმტაც მღვლოზე! მივსცურავთ და, რაც შეიძლება, ვესწრაფებით, რომ ჩქარა მივალწითოთ ჩვენს უკანასკნელ მიხანს—გველ-ბაზუგებიან ჯურღმულს; მივსცურავთ და აღარ ვისეგდებით უკან! წინ, წინ ჯურღმული! აკენ! გვესმის ქუჩაში, სკოლაში, თეატრში, ოჯახში. წინ, წინ! იმხის მოსუცი, დიდი, პატარა, მდიდარი, ღარიბი, ქალი კაცი, ბერი, მღვდელი, მონაზონი! წინ ჯურღმული! კენ იმხის ქალაქი, სოფელი! და აღარ არის გაგება, აღარ არის სძენა და ვაცონება. აღარ იმხის შედგარი შეძ...

საბურთალო-კახაკოვის-შესახვევში
 რედაქცია



უგნურო!“ წინ! იმხის ზრესსა და აკულევს კზას ჯურღმულისაკენ, აკულევს სრული დაწმუნებული, რომ იგი ასრულებს თავის მოვალეობას, უახლოვდება თავის მიზანს.

იყო დრო, როცა კაცობრიობა ამაირადვე მიესწრაფებოდა საშინელ ჯურღმულისაკენ. ეს იყო უკანასკნელი დღეები უკვე განხრწნილ და ჯურღმულის ზირზე მდგარ რომის იმპერიისა, მაგრამ ამ დროს განისმა მსოფლიო გენიოსის, დემეტრიასის ძალადი შექმნილად: „შესდექ უგნურო!“ და მსოფლიო შესდგა. შესდგა, დაიხედა წინ და ისილა ჯურღმული მთელი თავის საშიშროებით, თავის შემსარავი შინაარსით. შესდგა და იქცა ზირი. დაიწყო ფორთხვა მოყინულ შედმართზე. სრიალა შედმართის შევლა პრიელ გასაჭირი შეიქნა. ბევრი კისრის მტვრევით ისევ ჯურღმულში ჩაეშვა, მაგრამ ქვეყანა, უძრავლესობა, მანც კადრჩა საფრესეს, განეწა ჯურღმულს, ამოფორთხდა და უესი მოიკიდა მაგარ ნიანდაგზე. კაცობრიობამ თავისუფლად ამოისუნთქა, გადასედა თავის ამოვლილ შედმართს, ჯურღმულს და თვალი აარიდა, იმდენად საშიშარი და შექმნისუნებელი მოყვანა; მან საუკუნოდ გადასწვეიტა, აღარ დაქანებულყო თავდადმართში და სასოებით მიანაწრა თვალი თავის მხსნელს, მაცხოვარს, მსოფლიო გენიოსს, დემეტრიასს...

დემეტრიასმა ააშენა კედელი, რომელიც ჰყოფდა კაცობრიობას ჯურღმულისაკენ და აი დღევანდელმა კაცობრიობამ აღარ

ღვია ეს კედელი, გააკვლია კზა ჯურღმულისაკენ და დაექანა სრიალთ თავდადმართზე. მიდის, მიქანობს ამ თავდადმართში და არსათ ხმა გამომთხროსლელი, არსათ ღარღილი გამომარკვეველი!...

ვინ უნდა გამოთხროსლელს დღევანდელი მცდარი კაცობრიობა? ნუთუ ახალი ვინმე გენიოსი, ახალი დემეტრიასი მოველინება მას?! რა თქმა უნდა მარქს-ბებელ-პლენხანოვები ვერ გამოთხროსლენ კაცობრიობას, ვერ მისცემენ — მას ძალას, სძლიოს ყოველგვარ გაჭირვებას და ამოფორთხდეს უფსკრულიდგან. წინააღმდეგ, თითონაც იქით მიექანებიან და მიექანებიან ეველზე წინ, ასე რომ კიდევ რომ სასწაული მოხდეს, მათი ხსნა მანც ყოვლად შეუძლებელია. მამ ვინ არის მხსნელი? იგივე მსოფლიო გენიოსი, იგივე დემეტრიასი, რომელიც კიდევ ეძახის ცდომილ კაცობრიობას, „შესდექ უგნუროყო!“ მაგრამ კაცობრიობა შეეჩვია ამ ხმას, მოითელა ყური და აღარ ესმის იგი.

„კიევარდეს მოყვასი, როგორც შენი თავი“ კიევარდეს მტერიცა“. „ივაჰ მოწულაჲ“, არა კაც კლა“ არა იზარო, არა იმრუშო, არა ცილისწამო, არაფერი შეგშურდეს“, გვეძახის მხსნელი. იცოდევ, რომ შენ სევეთ არის დემეტრი, რომელიც თხოვლობს შენგან ამ მცნებების შესრულებას და კსჯის წინააღმდეგობისათვის. მოითხარე თვალი, რომელიც კაცდუნებს შენ, უნჯობესია ცალი თვალთ შენგიდე სასუფეველში, კიდრე ორივეთი სასჯელში. სანამ

უურებიდგან ბ. მასს არ ვამოიღებს, სანამ ამ ნაცნობ სმას, ხმას შინაგანი სჯულისას, სვინიდიისას არ ვაიგონებს კაცობრიობა, მას ვერაფერი გამოაფისილეს, ვერაფერი შეაუენებს მის დენას ჯურღმულისა კენ.

ექსპროზრიაცია, მანტაჟი, მუქარის წყრილები—ღვიძლი შეიღებია დღევანდელ კარფენილ და ღვთის უარის მყოფელ სკოლისა, ოჯახისა, თეატრისა, ქუჩისა, სადაც ეოლიფერს უარყოფენ ვარდა კუჭისა, რომლის სამსახურს და ზატივს აუენებენ მიწნად აღმდინის სიცოცხლისა... ხოლო ზატივი მისი კი მოითხოვს მძის სისხლს და აი ახალი სისხლიც! სმარცვავენ და სჭრიან „ბურეუებს“ კი არა მარტო, რომელთ სისხლს სხვერზლად თხოულობენ მარქსები, არამედ დატაკ წვრილ ცოლშვილით დატვირთულ მუშაკს!... „შესდექ უგნურო!“ დაიხედე წინ, სად მიგაქანებს შენი უღვთოება. შესდექ, თორემ ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაგამქცევს, სადაც ცხოვრება თითონ შენც მოგებურდება. „შესდექ უგნურო“—იმანის მხსნელი...

მაგალითი ეოვლად სამღვდელო გაბრიელის უხვი მოწვეალებიანა.

(დევ. მ. მკელდიის გადმოცემული)

ერთხელ ეოვლად სამღვდელო გაბრიელი სოფ. ხანში მიბრზანდა. ჩვეულებრივი წირვისა და ვრცელი მოძღვრების შემდეგ, იგი ხალხმა გაიტაცა შენდობის წიგნის საკითხავად. თან ბლადოჩინი (დევ.

მკელდიე) დაჰქუეობდა და ნებაყოფლობით საჩუქარს დებულობდა. როცა ადგილობრივ მღვდლის კ—მისას დაბრუნდენ, ბლადოჩინმა შეგროვილი ფული ეოვლად სამღვდელოს გადასცა და მანაც ჯიბეში ჩაიდვა დაუთვლელად. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოვიდა ეოფილ ადგილობრივ მეღვთისნის ქვრივი, რომელმაც დაუსურათა თავის უკიდურესი სიღარიბე და შემწეობა სთხოვა. სულმანათს ბევრი არ უფიქრია, ამოიღო ბლადოჩინის ძირთმეული ფული, ქვრივს გადასცა. და თან დასძინა: „ეცადე, შეილი სასწავლებელში მიეცი და ჩემ სარჯზე გამოვსრდი“ო! „მანდ თორმეტი თუმანია მეუფეო“, მოანსენა ბლადოჩინმა, რომელსაც ეგონა, რომ ეოვლად სამღვდელოს შეცდომით მოუვიდა ასეთი უხვი მოწვეალების გაცემა. „მერე შენ რა გინდა“ო, შენიშნა გაბრიელმა და გაისტუმრა ქვრივი დედაკაცი.

ამბობენ, განსვენებულს თვეში ერთი დღე ჰქონდა დადებული მოწვეალების გაცემათო. ამ დღეს გაჭირვებულებს თავის ხელით ურიგებდა მოწვეალებას თავისსავე სასახლეშიო, ეს და სხვა ასეთი ქველის საქმენი მასთან შესენაკედ ნამეოფ, ესლა მღვდელს, მარტოს სხირტლამეს ეცოდინება, რომელსაც ვსთხოვთ, ვაკვა ცნოს დიდებული მღვდელმთავარი ამ ძსრით.



პირველი ფურცელი პიჯლისა.

(პროფესორ ბეტკისის)

(გაგრძელება *)

დ ე ლ ა მ ი წ ა .

„ხოლო ქვეყანა იყო უხილავ და განუმზადებელი: ბნელი იყო ზედა უფსკრულთა; და სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა“.

საღმრთო წერილის ამ სიტყვებს ეთანხმებიან ბუნებისმეტყველების დასკვნანი. გამოჩენილნი ბუნების მკვლევარნი და ვარსკვლავთმრიცხველნი აღიარებენ, რომ ოდესმე დედამიწა ბრუნავდა მსოფლიოში გამდნარი, მერე თანდათან გაგრძობულ და დაბნელებულ, სქელ ორთქლით გარშემოცულ ბურთის სახით. თუმცა ამ ორთქლის დიდი ნაწილი გაგრძობისაგამო წყლად იქცა, მაგრამ საკმაო რაოდენობა მისი კიდევ იქცაოდა დედამიწის ზედაპირზე და ხვედა მას განუჭვრეტელ წყვიდადში. აი ამასვე გვეუბნება დაბადების მეორე მუხლი. რასაკვირველია, იმაზე, რომ სული ღვთისა იქცეოდა წყალთა ზედა, სწავლულები ვერაფერს გვეტყვიან.

ეს სულა ღვთასა მაუწყებელაა მათი გამოკვლევისა და გამოჩვენებისათვის. მაგრამ რას ქმნის სული? როგორც კვერცხზე, რომელიც აგრეთვე შეიცავს თხელსა და ბნელ ნივთიერებას, დიდ-ხანს ზის კრუხი და საიდუმლო ძალები გადმონაკადებენ პაწაწა ნაწილთა შორის და აწესრიგებენ მათ,—ვიღრე გამოჩნდებოდეს ნაქუქს გარეთ სიცოცხლე, ამგვარადვე სული ღვთისა იქცეოდა წყალთა ზედა და აძლევდა ნივთიერებას ბუნების ძალებსა და კანონებს, რომელნიც დღეს მოქმედებენ ქვეყანაზე. ამ საიდუმლო ძალებსა და კანონებზეა დამყარებული ყველა მოვლენა, რასაც კი ვხედავთ დედამიწაზე. თვით ადამიანის სხეული საუცხოვო ლაბორატორიაა იმავე კანონებით მოქმედებათა.

*) იხ. „ზინ. საქმეები“ № 22.

შესანიშნავია, რადენად დაცემული ადამიანი ბრმაა არა მხოლოდ ღვთაებრივის, არამედ ასე მასთან დაახლოვებულ ბუნების წინ. აუარებელი ადამიანი მოგზაურობს დედამიწაზე, ეს იმათი საცხოვრებელია, მათი სხეული მისგან შეიქმნა და მასვე დაუბრუნდება, და ამასთან რა მცირე ყურადღებას იჩენს უმეტესობა ღვთის ამ ღიად ქმნილებისადმი! გამოყოფილებანი, ყოველი, თუნდ სულ უმნიშვნელო გართობა, უშინაარსო ლაქლაქი, ანუ ფუჭე ქალღმრთის თამაში მათთვის უპირატესი და უძვირფასესია, ვიდრე განხილვა ღვთის ღიად მოქმედებათა და აზრთა. სწავლობენ იგინი სასწავლებლებში, რომ დედამიწა მრგვალია, რომ იგი წლის განმავლობაში მზეს გარშემო უტრიალებს, რომ ამ სიმრგვლის ზედაპირი უდრის 38 ათას ვერსტს, მაგრამ ამაზე თუნდ რაოდენიმედ უფრო მაღალსა და ღრმა განზრახვებს განაბევრნი ეძლევიან? ქრისტიანი კი ამ მხრით სრული ადამიანი უნდა იყოს. რადენადაც თავის მოვალეობანი აძლევენ მას დროსა და შეძლებას, ის უნდა იშვებდეს განზრახვათა შინა გარეგან ქვეყნის შესახებ, რომელშიაც იგი სცხოვრობს თავის არსების ერთის მხრით.

„რამეთუ ღმერთმახვე გამოუცხადა მათ, რამეთუ უხილავი იგი მისა და სამარადისო იგი ძალა მისი და ღვათება დაბადებოთაგან სოფელსათ ქმნულთა მათ შინა საცნაურად ახალეუბის“ (რომაელ. 1, 19—20).

განუზომელად ვრცელია ეს სივანე ადამიანისა! სიმრგვლეს, 38 ათასი ვერსტის სიგრცის მექონს, რასაკვირველია, ცხადათ ვერ წარმოვიდგენთ. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ამ სიმრგვლეზე არსებობს ზღვა, რომელზედაც შეუძლიათ გემებს სისწრაფით იარონ მთელის კვირაობით, თვეობით დღე და ღამ და მათს გარშემო არაფერი სჩანდეს ცისა და წყლის მეტი; შემდეგ უდაბნოები გახურვებულ ქვიშებიანი, სივრცით ბევრათ უფრო დიდნი, ვიდრე მთელა გერმანია, უდაბნოები, სად აქლემს, ამ გემს უდაბნოსას, შეუძლია აგრეთვე მთელ კვირაობით მიდიოდეს და ნაპირს კი ვერ ხედავდეს; რომ მივიღოთ აგრეთვე მხედველობაში ვაკეები, მდელითი შემოსილნი, რომ-

ლებშიაც თავისუფლად მოძრაობენ მილიონობით ცხოველები; შემდეგ დედამიწის ჩრდილოეთ და სამხრეთ თავებთან მთელი ევროპის-ოდენი სივრცენი, საუკუნო თოვლითა და ყინულით დაფარულნი; ბოლოს ადამიანთაგან დაკავებული ვრცელი ადგილები, მათაა გრენლენდი, ყინულთა საუნჯენი მთების ზურგზე, მიმდინარე ტბის მსგავსი უზარმაზარი მდინარეები... —თუ გავიხსენებთ ყოველივე ამას და წარმოვიდგენთ, რომ მთელი ეს რთული ქვეყანა, არაფერზე დაყრდნობილი, თავისუფლად სცურავს მსოფლიოში, ჩვენ ვერ გავეჭვებით იმ შთაბეჭდილებას, რომ დედა მიწა საკვირველი ქმნილებაა ყოვლის-მპყრობელის მარჯვენით ტვირთული. მაგრამ ეს დედამიწა არა მხოლოდ სცურავს, იგი მიექანება დანიშნულის გზით დაუღალავად წინ.

ზარბაზნის ყუმბარა ისეთის სისწრაფით მიქრის, რომ თვალი ვერ ამჩნევს მას. დედამიწა კი, რომელზედაც 1500 მილიონი ხალხია და რომლის სიღრმეში გასაოცარი ცეცხლი ანთაა, რომლიდანაც ჩვენ გვყოფს მხოლოდ სქელი გარსი მიწისა; —ეს დედამიწა მთელ თავის ზღვებით და მიწებით, მდინარეებით, მთებით, მინდვრებით, ყინულიან და თოვლიან მთა-გორებით მიფრინავს და თან მიაქროლებს შენ და ყველა ადამიანსაც განუზომელ სივრცეში ზარბაზნის ყუმბარაზე ორმოცდაათჯერ მეტის სისწრაფით. ჩვენ კი ვერ ვამჩნევთ ამას! ისე მსუბუქი და თანასწორია მისი მოძრაობა. ჩვენ რომ შეგვეძლოს, გავჩერდეთ დედამიწის გარეთ და თვალყური ვადევნოთ მის ფრენას —რა ნაირი სანახაობა წარმოგვიდგებოდა! პირველად ჩვენ დავინახავდით შორს პატარა ვარსკვლავს, რომელიც დაახლოვებისდაგვარ თანდათან იმატებდა, მალე მთვარის ტოლად გახდებოდა, შემდეგ დაიჭერდა მთელი ცის ნახევარ სივრცეს, —და ბოლოს ჩვენს გაოცებულ თვალების წინ გაივლიდა გრიგალივით ყველაფერი, რაც კი არის ქვეყანაზე. მზისაგან განათებული შავი ღრუბლები, აზვირთებული ზღვა და ვაკე, მაღალი თოვლიანი მთები და ბნელი ტყეები, უზარმაზარი ქალაქები და უდაბური ადგილები, — ყველაფერი ეს გაიქროლებდა ჩვენ წინ მზაფურის ფრენით რაოდენიმე წუთში და ვი-

დრე გონს მოვიდოდით და გამოვერკვეოდით გაკვირვებიდან, ყველაფერი უკვე გაქრებოდა; ჩვენ კვლავ დავინახავდით მხოლოდ ვერცხლებრივ კვამლს, რომელიც, რაედენადაც გავკვირდებოდა ცათა უფსკრულსკენ, ხელახლა გადიქცოდა პაწია შორეულ ვარსკვლავად. მსოფლიოში ღვთისა მიერ ტვირთულია.

ამით ჩვენ დავინახავდით მცირე ნაწილს შემოქმედის დედებულებისას, დედა-მიწას, რომელიც დასაბამად შექმნა ღმერთმა. ამის მსგავსადვე სივრცეში მზის გარშემო გრიგალივით დაქრიან ასობით სხვა დედამიწები ანუ პლანეტები, ბევრი ბევრად უფრო დიდნი. ვიდრე ჩვენი დედამიწა, რომელთაგან ზოგიერთებს თანწყვეტიან რაოდენიმე მოვარე ანუ ვეებერთელა, თავისუფლად მცურავი, მაგარ ანუ ჰაერგვ. რ სიზქრიდან შემდგარი რკოლება.

უმჯობესი არ არის ადამიანისთვის ხარობდეს, განცვიფრებას ეძლეოდეს და იშვებდეს ღვთის ეგზომ საკვირველ ქმუნულების ლოცვითი განხილვით, შემგნებელი: „რაი არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი“. (ფს. 8).

რისთვის ვფიქრობთ სულ მუდამ და მხოლოდ წვრილმან, ამაო ზრუნვებზე? ეს გვაძლავს მხოლოდ მოუსვენრობასა და თავისმოტყუებას, მაშინ როცა ღვთის საქმეთა განსკვრეტა გვასვენებს და ამაღლებს სულსა!

ამ გვარად დედამიწა ბრუნავდა მსოფლიოში მრავალ ათას წლის წინეთ. იგი ჯერ კიდევ უდაბური და უკაცური იყო, წყვდიადში გახვეული, მაგრამ უკვე წარმოადგენდა დიდებულს სანახაობას „შვილთათვის ღვთისათა“, რომელთათვის იტყვის წერილი: „სადა იყავ, რაჯამს დავაფუძნებდი ქვეყანასა? მითხარ მე უკეთუ იცია... ოდეს შექმნულ იქმნეს ვარსკვლავნი, მაქებდეს მე ხმითა დიდითა ყოველნი ანგელოზნი ჩემნი... ხოლო დაუდევ მას ღრუბელი სამოსელსა შინა, ხოლო ნისლითა მოვხვილე იგი“ (წიგნი იობისა თავი მ8) და იი ეს დედამიწა გამოცვლილის სახით მიგორავს თავის გზით 1500 მილიონ მახედ მცხოვრებ ადამიანებზე, ურიცხვი პირუტყვებთანად. ჰაერში მფრინავ უთვალავ ფრთოანთა და ზღვის სიღრმეში მცურავ მილიონ გზის მილიონ

თევზებთან ერთად. და ხედავს ღმერთი ყველა ამ ცხოველს, და ამ წუთში, როცა შენ ამას კითხულობ, იგი იხედება შენს გულშიაც და სპერეტს ყველა შენს განზრახვას, ისევე, როგორც განზრახვებსა და სიზმრებს მილიონობით აღამიანთა მღვიძარეთა თუ მძინარეთა დედამიწის მეორე მხარეს, ველურ ბუშმენიდან დაწყებული, რომელიც ამ წუთში სამხრეთ აფრიკაში ებარება ქურციკს მოშამულის ისრით მალალ ბალახ შორის — ესკიმოსამდე, რომელიც მსუბუქ ნუშაზე (პატარა ნაფი) მღელვარე ზღვაში გველვეშაპებზე ნადირობს. ამ წუთს, როცა მისთვის (ღვთისთვის) ცხადია შენი ფიქრები, მან იცის აგრეთვე, რასაც ფიქრობს თითოეული ოთხას მილიონიან ჩინეთაგანი და უწყის მათი ცხოვრების ისტორია მათზე უკეთესად. მარადის ხედავს იგი ყველა ავთიმყოფს და გაქირვებულს, გლახაკებს მათს სისაწყლევში და მთავრებს მათს ბრწყინვალეობასა და დიდებაში; ბრძოლაში ერთმანერთის მელეტელ ბევრეულებს; სიზნელეში თავის მსხვერპლის მზევრავ ავაზაკს; ესმის მას ყოველი სიტყვა, გალობა, ლოცვა, წყევლა, სიცილი, თითოეული მწარე საჩივარი, თითოეული სულთქმა მისდამი მიქცეული, თითოეული უსარგებლო სიტყვა და სწერს წიგნსა შინა თვისსა განსჯის დღისათვის. ხედავს იგი ღმერთს უდაბნოში, ყოვანს ჰაერში, თითოეულ ფრინველს ბუდეში, თითოეულს მწერს ბალახში. არ არის ისეთი თევზი, რომლის გზა მისთვის დაფარული იყოს, ისეთი ხის ფოთოლი მთელს დედამიწაზე, რომლის სახე და ზომა მან არ იცოდეს, რომელსაც შეეძლოს ძირს ჩამოვარდნა მის უნებურად. და მაშინ როცა იგი მართავს მთელს ამ უზარმაზარ ქვეყანას, აძლევს მას ცხოვრებისთვის ყოველივე საჭიროს, ფლოავს მას, — ამავ დროს ხედავს იგი წყლის თითოეულ წვეთში ათასობით უხილავ არსებებს, რომლებს დანახვა შეიძლება მხოლოდ ძლიერის გასადიდებელ სარკის საშუალებით, და აძლევს თითოეულს სიცოცხლესა და საზრდოს, ვინაიდან „მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი“. და რას წარმოადგენს ეს ყველაფერი იმ მხედველობის სიერცესთან შედარებით, რომელიც შეიცავს ყველაფერს, რაც ხედება მსოფლიოს მზეთა მილიარდებში, ცათა ცათასა შინა და ჯოჯოხეთში?

მელიც შეიცავს ყველაფერს, რაც ხედება მსოფლიოს მზეთა მილიარდებში, ცათა ცათასა შინა და ჯოჯოხეთში?

ღიად, დიდ არს და ძლიერ უფალი! არაფერია დაფარული მის თვალთაგან, და გარშემოუწერელია ის ძალი, რომელსაც შეიცავენ სიტყვანი: „და სული ღვთისა იქცეოდა ზედა ყელთა“.

ანოფრე მწირი.

(შემდეგი იქნება).

ქართლ-კახეთის სამღვდელმთავრის მომავალი კრების საუბრადღებოდ.

გაზეთ „Закавказское Обозрение“-ს № 32 გვაუწყებს ახალ ამბავს, რომ საქართველოს ექსარქოსის მოადგილემ, ბაქოს ეპისკოპოსმა გრაგოლმა მისწერა ქართლ-კახეთის ეპარქიის ბლადოჩინებს წარადგინონ ექსარქოსის განცხადებაში სია იმ საკითხთა, რომლებს განხილვაც სასურველია სამღვდელთა მოძრაობის კრებაზე ამ წლის დეკემბერში.

ბევრი რამ კვთავდება ჩვენს სამღვდელთაგანს, ბევრი საჭირობო რეკომენდაცია აქვს მას განსახილველად დასაწვევით. მე მსურს მაკატეგორიულად უარადღებო სამღვდელთაგანს ერთს საკითხზე, რომელიც შარშანდელ ანუ აღმწერილი დეკემბრის კრებაზე. ეს არის საკითხი საღვთისმეტყველო საგნების ქართულ ენაზე სწავლების შესახებ თფილისის სემინარიაში. შარშანდელმა კრებამ — საჭიროდ სცნო საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების შემოღება, მაგრამ უწმინდესმა სინოდმა უარი უთხრა სამღვდელთაგანს ამასევე სახელ მძღვანელობის უჭიანობის გამო ქართულ ენაზე. „შინაურ საქმეებში“ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სასულმძღვანელოს უჭიანობა არ არის იმგვარი მძიმე მოვლენა, რომლის აცილებაც ეხლანდელ დროში შეუძლებელი იყოს და იმედი გამოუთქვამთ, რომ სამღვდელთაგანს არ მიიურუებს უფრო ამ საკითხის შესახებ და კვლავ აღძრავდა მას კრებაზე *)

ჩვენ ეხლა გარკვეული სასიკეთით გამოუთქვამთ ამ იმედს, რომ სამღვდელთაგანს უჭიანობად

*) იხ. „შინ. საქ.“ № 2. 1908 წ. 20 აპრილი.

ურადლებას მიაქცევს ამ საჯანს მომავალ დეკემბრის კრებაზე. საზოგადოდ მიღებულია, როცა სასწავლებელში შემოაქვთ სწავლება რაიმე ახალი საგნისა, მას სწავლებას იწუებენ პირველი კლასიდან. ამის მიხედვით, ქართული საღვთოწერილის სწავლება, როგორც ახალი რამე უნდა დაიწონ პირველი კლასიდან. პირველ კლასში კი უმთავრესი საღვთისმეტყველო საგანია არის საღვთო წერილი ძველი აღთქმისა. უწმიდესი სინოდის დამტკიცებული პროგრამით, სემინარიის პირველ კლასში დადებულია შესწავლა საღვთო წერილზე საზოგადო ცნობათა და მოსე წინასწარმეტყველის ხუთი წიგნისა. ამისი სახელმძღვანელო ჩვენ, ქართველებს გაეჭეს. უურნალ „მწიგნოსის“ შარშანდელს და წლეკანდელს №12-ში იბეჭდებოდა სტატიები ძველი აღთქმის საღვთოწერილის შესახებ. ეს სტატიები შეიცავენ სასულიერო სემინარიის პირველი კლასის კურსის ძველი აღთქმის საღვთო წერილისას. სტატიები შედგენილია რუსულ სემინარიებში მიღებულ ხედასკოვის და ათანასიეის სახელმძღვანელოების მიხედვით, თუმცა კი ალგ ალგ სხვა წყაროებიდანაც ჩატანილია ცნობები. აი ეს არის ის სახელმძღვანელო ძველი აღთქმის საღვთო წერილის შესასწავლად სემინარიის პირველ კლასში, რომელზედაც ზემოდ ვთქვი — გაეჭეს მეთქი გარდა სახელმძღვანელოსი, საჭიროა კიდევ ბიბლია, დახატვა; ამის უქონლობას ხომ ვერაინ გვიგვიხინებს. შეგირდის სწავლის დროს უფრო ემარჯვება მოიხილა ტანის წიგნის ხმაურება; ამიტომ რუსეთში ცალკე ცალკე წიგნებად გამოცემულია საღვთო წერილის წიგნები სემინარიის პროგრამაზე მიხედვით; ჩვენც გაეჭეს 1900 წელს გამოცემული დახატვის პირველი ნაწილი ხუთი წიგნი მოსესი, ე. ი. ის, რის შესწავლაც საჭიროა სემინარიის პირველ კლასში**).

**) სასურველია, რომ ქართული დაბადების შემსწორებელი კომისია დააჩქარებდეს დაბადების სხვა წიგნების გამოცემასაც ისე, როგორც გამოცემულია მოსეს ხუთი წიგნი.

1900-ის სასწავლო წელში, შემდეგი 1910-ის წელსთვის შედგენილი იქნება მეორე კლასის სასხელმძღვანელო და ეგრე შეეჭეს კლასშივე საღვთოწერილებიც და სხვა საღვთისმეტყველო საგნები. — სამდგველოების კრებამ დადგინებებსა საღვთოწერილის ქართულად სწავლების შესახებ „სპრავკად“ უნდა მიიყვანოს, რომ სახელმძღვანელო უჩვე არის მოხად***).

მიღვა საქმე მასწავლებლებზე. ქართული საღვთოწერილის სწავლება არაფერს უზიარატესობას არ მიიტყვის მასწავლებელს სამოსხურში, რადგანაც ადგილი უმტატო იქნება. მაგრამ განა არ შეიძლება, რომ სემინარიაში ქართული ენის მასწავლებელმა დასთმოს დიდაქტივის გაკვეთილები და ააღოს ქართული საღვთოწერილის, რომლის სასიდაული საშედეგოებისაგან მიეცება, ხოლო სამოსხურში სხვადასხვა ჩინების მისაღებად ემარა ქართული ენის შტატის ადგილიც. ან იქნება რომელმამე ქართველმა აკადემიელმა მღვდელმა ივისროს ქართული საღვთოწერილის სწავლება? ეს ხომ დამოკიდებულია სამშობლო ეკლესიის იყვარულზე!

სარკინელი.

უმთავრესი ხელოვნური მიწის სასაქეობი და მათი მოხმარება მუარნეოლაში.

„თუ არის საქონლის საკვები—იქნება საქონელიც; თუ არის საქონელი—იქნება ნებეც; თუ არის ნებე—იქნება პურიც.“
პროფ. ივ. კიწნი.

მეურნეს აქვს საქმე მცენარეებთან და ცხოველებთან; ის თესს სხვა და სხვა პურეულობის თესლებს, რგავს ხეხილებს, ვაზს, თესს ბოსტნეულობის თესლებს; თესლებიდან

***) მეტი არ იქნება, რომ ამავე კრებამ მიიღოს ქართველ აკადემიელებს, რომლებიც უფრო ახლო სდგანან სასულიერო სკოლასთან და ქართველ მღვდლებს სჯულის მასწავლებლებს ეხლავე შეადგინონ კომისია საღვთისმეტყველო საგნების სახელმძღვანელოთა შესამუშაველად; ერთს წელიწადში საჩქაროდ შედგენილ სახელმძღვანელოს არაფერი ფასი არ ექნება. ხოლო რაოდენიმე წლის შრომა რაოდენიმე კაცისა ერთად კი გამოიღებს ნაყოფს. სინოდი უარს გვეუბნება საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლებას სახელმძღვანელოების უქონლობის გამო და არა სხვა მიზეზით. შედგენა სახელმძღვანელოებისა ჩვენზეა დამოკიდებული, მაშ რატომ არ უნდა შევადგინოთ? წყაროები ბევრია ფრიალ.

ამოდის პირველად პატარა მცენარეები; ეს მცენარეები ღებულობენ საქმელს, იზრდებიან, სუნთქევენ, ნაყოფი მოაქვთ, მრავლდებიან, მერმეთ მცენარე კვდება და ადგილს უთმობს შთამამავლობას.

მეურნეს აქვს საქმე წვრილ და მსხვილ ფეხ ცხოველებთან — ის აშენებს და ზრდის ხარს, ძროხას, ღორს, თხას, ცხვარს, ქათამს; პირველად ეს ცხოველები, გარდა ფრინველებისა, იკვებებიან რძით და შექმდეგ გადადიან ბალახზე, ფრინველები საზრდოობენ მარცვლებით, ბალახებით. თუ მოისპო მცენარეულობა, ბალახი, მოისპობა უსათუოდ ცხოველებიც, თუ მოისპო მცენარეულობა და ცხოველები — უსათუოდ მოიპობა ადამიანიც, რადგანაც მისი დღიური საზრდო არის ნაყოფი. მცენარეებისა — ბური და ხორცი, რადგანაც მისი სხეული შესდგება იმ ნაწილებიდან, რა ნაწილებიდანაც შესდგება მცენარეები.

მცენარე შესდგება თვალთ უხილავი უჯრებისაგან, რომლებშიდაც შეუჩერებელი და დაუღალავი მუშაობაა, სადაც მზის სხივების ზედგავლენით მზადდება და გროვდება აგრე წოდებული ორგანაჟა ნაჟთაჟრება; ამ ორგანიულ ნივთიერების მომზადება შეიძლება მხოლოდ მცენარეში და აქედან ცხოველები და ადამიანიც ღებულობენ ამ ნივთიერებას. გარდა ორგანულ ნივთიერებისა მცენარეში არის აგრე წოდებული მანკრალურა ნივთიერება; ამავე მინერალულ ნივთიერებას ღებულობს მცენარეებიდან ცხოველები და მცენარეები და ცხოველებიდან (ხორციიდან) ადამიანი. მაშასადამე ცხოველების და ადამიანის სხეულსა შეადგენს ის ნივთიერებანი, რისგანაც შესდგება მცენარის სხეული.

მცენარე თავის საზრდოს პოულობს ჭაერში და მიწაში. ჭაერის ნაწილებიდან მცენარე ამზადებს ორგანულ ნივთიერებას, ხოლო მიწიდან თავის ძირებით ის სწოვს იმ ნივთიერებაებს, რომლებიც ადგენენ მცენარის სხეულში მინერალურ ნივთიერებას. ათი გირვანქა შეშა რომ დასწვათ ათ გირვანქა ნაცარს კი არ დასტოვებს ის, არამედ დიდად ნაკლებს; ის ნაცარი, რომელიც რჩება შეშის დაწვის

შემდეგ, წარმოადგენს იმ მინერალურ ნივთიერებას, რომელიც მცენარემ მიიღო მიწიდან, დან რჩენი ნაწილი მცენარისა, ესე იგი ორგანული ნივთიერება, მისი ნაწილები გადასხვაფერდა და ისევე ჭაერს დაუბრუნდა.


კაცობრიობას არასოდეს არ დაებადება იმის ეჭვიც რომ ოდესმე ჭაერში მოისპოს ორგანულ ნივთიერების შემმადგენელი ნაწილები (ელემენტები), ის მუდამ იქნება, და ამის მხრივ ჩვენ შიშს აცილებული ვართ; სულ სხვა მდგომარეობაში არის რაოდენობა იმ მინერალურ ნაწილებისა, რომელსაც მცენარე პოულობს მხოლოდ მიწაში და ურომლისოდ შეუძლებელია მცენარის არსებობა, მაშასადამე არსებობა ცხოველებისა და ადამიანისაც. იქ, სადაც მიწას აგრე საზიზღრათ და ადამის დროის წესით ამუშავენ, როგორც ჩვენში, სადაც მიწიდან მთელ საუკუნეების განმავლობაში მცენარეებს გამოაქვს მისთვის მიუცილებელი საჭირო მინერალური ნივთები და მიწას კი სამაგიეროდ გამოტანილ, გამოწოვილ ნივთიერებას არ უბრუნებენ, იქ ეს საკვები მინერალური ნივთიერება თან და თან კლებულობს, და ბოლოს დადგება ისეთი დრო, როდესაც მეურნე დათესილ თესლსაც ვერ დაიბრუნებს, შიმშილით კუჭი გამოეწვევა, საქონელი დაეხრება. ადამიანი და მუშა საქონელი მუშაობს სანამდისინაც არ დაიღლება; დაღალული დასვენებას თხოულობს და დასვენების დროს იმან უნდა დაიბრუნოს ის ძალ-ღონე, რომელიც იმან დალია მუშაობის დროს. მარტო ფიზიკური დასვენება (ჯდომით, წოლით, ძილით) ის ვერ დაიბრუნებს დაღეულ ძალ-ღონეს; ის, მისი აგებულობა, უთუოთ თხოულობს საქმელ-სასმელს, რომლებიც მის აგებულობაში ადადგენს დაღეულ ძალ-ღონეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის თანდათან სუსტდება, ძალ-ღონე ელევა და ბოლოს კვდება. სწორეთ ასე გახლავს მიწაც: ის წლობით იღალდება, მას თანდათან აკლდება ის საზრდო, რომელიც მცენარეს ასაზრდოებს, ზრდის, და ბოლოს მეურნისთვის სულ უსარგებლოდ ხდება. ასეთი მაგალითი ჩვენში აუარებელია: აბა ვის არ შეუმჩნევია რომ ის მიწები, რომლებიც

ხუთ-ათ წლის უკან ბევრს მოსავალს იძლეოდა, ეხლა ძლივს უბრუნებს მეურნეს რავდენიმე ფუთ მარცვალს (ისიც წვრილი, ჩალაც ცოტა მოდის). ასეთ მიწას ჩვენმა ვითომდა „ასვენებენ“ რამოდენიმე წელიწადს ზედი ზედ (მაგრამ ვაი ასეთ რიგ დასვენებას, რა უსარგებლო ის არის!?), შემდეგ ხელახლა ამუშავებენ, მერმე ასვენებენ და ამ რიგათ მომდინარეობს მთელი ათი და ასი წელი, მაგრამ დადგება ის დროც და კიდევაც დადგა, როდესაც ხანგრძლივით მიწის დატოვება „დასასვენებლად“, მისი ძალღონის მოსაკრფათ შეუძლებელი იქნება, რადგანაც აუარებელი მოთხოვნები, რომელიც უთუოთ ძალიან მალე გაორკეცდება და იმატებს კიდევ, მიუცილებლად დაკმაყოფილებას თხოულობს. მაშ მიუცილებლად უნდა ვეცადოთ და კიდევაც ვეცდებით რაც შეიძლება ცოტა დავასვენოთ მიწა, ცოტა დროით დავტოვოთ ჩვენდა უსარგებლოდ. იქ, სადაც ეს შეიძლება, დამზიებულ მიწას, რომელსაც გამოვლია მცენარისათვის მარგებელი მინერალური ნივთიერება, საზრდოს აძლევენ, ან იმ პირობაში აყენებენ, რომლის შემწეობით მას აღედგინება მისი ძალღონე; ასეთ პირობას აჩენს რიგიანად და თავის დროზე მიწის დამუშავება, მიწის დანაკვლა, ნაკვლით გასუქება, მაგრამ სად არის ჩვენში იმდენი ნაკელი, რამდენიც საკმარისია იმისთვის, რომ მან სანახევროდ მაინც აღადგინოს მიწის დაკარგული ძალღონე? რომ მან შესძინოს მიწას ის მინერალური ნივთიერებანი, რომლებსაც ყველაზე მეტს თხოულობს მცენარე, და რომელიც ისედაც ნაკლებია მიწაში? იქ სადაც ბევრი ნახვია, ბევრი მცენარეც მოდის, ბევრი საქონელიცაა, მაგრამ სადაც ეს არ არის, სადაც კი ადამიანი ფხიზლათ უყურებს ცხოვრებას, რომელიც გამჭვალულია სურკილით დიადი ნაყოფი დაუტოვოს თავის შთამომავლობას, თავის სამშობლოს, რომელსაც სასირცხოდ მიაჩნია მხოლოდ სხვისი ნაოფლარით ცხოვრების გატარება (როგორც ჩვენში, ნუ იწყენთ სიმართლეს!), იქ ადამიანი მეცნიერების შემწეობით ბუნებას გაუბატონდა, იმან დაიმორჩილა ბუნების ძალა და მის დახმარებით ხელოვნურად

დაბადა ის, რის მიცემაც ბუნებამ ვერ მოახერხა საკმარისად. ადამიანმა გაუგო მცენარეს მთელი მისი ბუნება, რაოდენობა, - შეამჩნია რომელი ნაწილი უფრო ნაკლებია მიწაში და რომელსაც ყველაზე მეტს თხოულობს მცენარე, ურომლისოდაც მოუხერხებელია მისი არსებობა და ბოლოს შეადგინა სელაქნურა მიწის სასუქი, რომელშიდაც მცენარისთვის მიუცილებელი საჭირო მინერალური ნივთიერება დიდად მეტია, ვიდრე ჩვეულებრივ საქონლის ნახვში, რომელიც წარმოადგენს ჩვეულებრივ ფხვნილს და იყიდება საზღვარ გარეთ და რუსეთში ფუთობით და გირვანქობით. ასეთი ხელოვნური მიწის სასუქი ამ მოკლე ხანებში მოუვა „შინაურ საქმეების“ რედაქციას, რომელიც საცდელათ დაურიგებს უსასყიდლოდ „პრემიად“ თავის ზოგიერთ მუდმივ ხელის მომწერს*) ამიტომ სასარგებლოდ ვსცანით, გავაცნოთ პატივცემულ გაზეთის მკითხველებს ამ სასუქის თვისება და ხმარება.

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება.)



წმ. ღვთისმშობლისა და კონსტანტინის.

(გაგრძელება**).

„მზათა ვართ სახელისათვის ქრისტესისა ყოველსავე გვემასა და ტანჯვასა ცეცხლსა და წყალსა, მახვილსა და სიკვდილსა ესე არს სარწმუნოება ჩვენი ქრისტიანობა“.

„ვერამან გირმან და არცა დიდებამან ამის საწუთოსამან ვერ განმარტონეს ჩვენ სიყვარულსა და სარწმუნოებასა იესო ქრისტესა“ (წმ. დავით და კონ—ნე).

მაგრამ ოდეს „შაჰაბაზ ესოდენ მძინვარებდა და ტანჯვანი ძნიალობდეს, სახიერი ქრისტე დასტკებოდა,.. მოსაგებელი ძვირფასობდა“.

*) ფხვნილი დაურიგდება იმ პირობით, რომ მის წამლებმა სავსებით შეასრულოს დარიგება და, სადაც რიგია შეატკობინოს, — თუ რა რიგ იმოქმედა მცენარეებზე — ყურძნის მოსავალზე, ბალახზე, სიმიდზე ხელოვნურმა სასუქმა.

***) იბ. „შინ. საქმ.“ № 23.

ესე არს ძლევა, რომლითა ძლევს სოფელსა, სარწმუნოება ჩვენი!

ღიად, ყოველივე უძლური შეიქნა ჯვართან და ქრისტეს სარწმუნოებასთან. ჯვარმან მოინადირა ყოველი ქვეყანა, სარწმუნოებამან მამათა ჩვენთამან სძლია სპარსეთს, სათათრეს, მონგოლიას, ლეკობას, ყოველივე სახის მწვანეულობას და ცეცხლის თაყვანის მცემლობას.

მართლაც, რამ მოჰქინა ჩვენს სამშობლოში ყოველი ბორცვი, მთა, გორაკი, ამღლებული კლდე, უღამური ტყე შეუღარებელის მშვენიერებით და სიმდიდრით აგებული ტაძრები? სარწმუნოებამ მამათა ჩვენთამან! რამ შეაძკო ეს ტაძრები მდიდარის სამკაულებით, ხელნაწერებით, მხატვრობით, ოქროს ქსოვილი შესამოსლებით, თვალ-მარვალიტოვან ხატებით და ქურებით? სარწმუნოებამ მამათა ჩვენთამან! რამ შექმნა ამოდენი ციხე-კოშკები ზოგან დამწვარნი უსჯულოთაგან, ზოგან დაცულნი ჯვაროსან ქართველთაგან, ზოგან მინვრეულ-მონგრეულნი ცეცხლისა და მახვილისაგან, ზოგან ძირიანად აღმოფხვრილნი დროთა ვითარებისაგან? როდის გამშვენდა ესოდენ საქართველო? სარწმუნოებისათვის ბრძოლის დროს! რით მოხდა ასეთი საკვირველება, რომ ეს ერთი მუჟა ხალხი არ განქრა პირისაგან ქვეყანისა ამ დროთა დღევაში, ურიცხვ მტერთან ბრძოლაში? მით, რომ მას ეჭირა ხელში ჯვარი ქრისტესი და მისი იმედით მტერს უშვერდა თავის პატარა მკერდს და უკუაქცედა ძალითა ჯვარისათა! რატომ საქართველოს ეკლესიაში არ გაჩნდნენ სხვადასხვა გვარი სექტები, მწვალებლობა, პროტესტანტობა და სხვა ცრუ სარწმუნოება, რომლითაც მოფენილია განათლებული დასავლეთი? მით, რომ, გული ქართველისა იყო დაკავებული, მოკული ქეშმარიტი მართლმადიდებლობისაგან და მაში ვერ იპოვა ალაგი სხვა სჯულმა.

ქეშმარიტად, ხალხი ჩვენი იყო ჯვაროსანნი, ქეშმარიტი შვილი მართლმადიდებელის ეკლესიისა. ჯვრითა უმეტეს და არა მარტო მახვილითა ხელში, ებრძოდა იგი მთელი აღმოსავლეთის მახმადიანობას და კერპთაყვანისმცემლობას და თუმცა ამ განუშრობელ სისხლის

მორევში არ დაინთქა იგი სრულიად, ეს იმის წყალებით, რომ მას ხელში ეჭირა ძლევა მოსილი ჯვარი ქრისტესი, წინ ამიღლებული ჭკონდა მუდამ დროშა მართლმადიდებლობის ისე, როგორც ერი ებრავლებისა ვარდებოდა განსაცდელში, როცა იგი ქეშმარიტს იეგოვას დასტოვებდა, და გამოდიოდა ამ განსაცდელისაგან ძლევა-მოსილი, როცა ისევ ქეშმარიტს ღმერთს მოიგონებდა.

ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი წარსული ისტორია, წარსული დრო საქართველოსა წარმოიდგენს ვებერთელა ველს, რომელზედაც მუდამ ბრძოლა და სისხლის ღერა არის მართლმადიდებელ სარწმუნოებისათვის. ხშირად ერთი ჯვარის ან ხატის მოტაცებისათვის უსჯულოთაგან ასტყდებოდა ეროვნული ომი და მის დასაბრუნებლად წყდებოდა მთელი მამაკაცობა ბრძოლაში, და სწორედ მაშინ იყო ძლიერი და დიდებული საქართველოს ეკლესია და სამეფოც, როდესაც სათავეში, ხალხის წინ იდგა მეფე-ერთგული შვილი მამულისა და ღვთის მოყვარე. მაგრამ სისწრაფით ეცემოდა ქვეყანა, როცა მეფეების ტახტზე ავიდოდნენ გადარჯულებულნი, გამახმადიანებულნი ქართველნი და ზურგს შვერდენ ეკლესიას, და სარწმუნოებას.

ეკლესია, სარწმუნოება აცხოველებდა სამეფოს და თუ რამ თვალსაჩინო და საისტორიო მოუშოქმედებიათ ჩვენს მეფეებს და ხალხს, სარჩულად სდებია ყოველთვის სარწმუნოებრივი მოსაზრებანი. ამ ცხოველმა სარწმუნოებამ მოიყვანა ჩვენს დრომდის უვნებელად ჩვენი ქვეყანა.

და ჩვენ კი, დღეს, სრულიად დავიმკვიდრეთ ეს სათნოება, სასიქადულო მხარე ჩვენის მამაპაპებისა? მაგალითად, შეგვიძლია საქორების დროს მივბაძოთ წმ. დავითს და კონსტანტინეს სარწმუნოებისათვის ქრისტესისა? მივსცეთ თავი „მოსაკვეთელად“, ხორცი „დასაწველად“ გვამი „მხეტთა და ფრინველთა“ შესაქმელად? შეიძლება, ისეთიკი არიან ჩვენში, რომელნიც მურყან ყრუზე უფრო ზიზღით და სითამამით დასცინიან ამ მოწამეთა საქციელს, უარს ყოფენ ამდენს ისტორიულს მოვლენებს.

ასირცხოდ მოაჩინათ ქრისტეს ხსენება, ჯვარის თაყვანისცემა, ეკლესიაში სიარული და მსგავსად მურვან ყრუსა, ამბობდეს: „ვინა არს ქვათა და შეშათა თაყვანის მცემელი?“

მაგრამ დავანებოთ თავი ამათ.

დღე სხვებმა არწმუნონ თავი, რომ სარწმუნოების უარყოფით და განდევნით ქვეყანას გადააქცევენ სამოთხედ და ჯვარის ნანგრევზე აღმართავენ დროშას გონებისას, მეცნიერებისას, ახალი კანონებისას. ასეა კაცის ბუნება, დაცილებული ქეშმარიტს გზას, მოკლებული გონების აღზრდას!...

ჩვენკი მორწმუნენო, ერთად წმიდა დავით და კონსტანტინესთან მზათ ვიყოთ სახელისათვის ქრისტესისა ყოველსავე გვემასა და ტანჯვასა, ცეცხლსა და წყალსა, მახვილსა და სიკვდილსა, რათა ვერამან ჭირმან და არცა დიდებამან ამა საწუთოსამან ვერ განგვაშორნეს სიყვარულსა და სარწმუნოებასა იესო ქრისტესსა.

გიხაროდენ ახოვანო დიდ-სულო მხნეო და ყოვლად შეუძვრელო სვეტო სიმხნისაო დავით, რომელმან სახელ-დიდ საჩინო ჰყავ თავი შენი ნათესაეთა შორის; გიხაროდენ კონსტანტინე, რამეთუ შენ შორის ხატნი ცხოველს მყოფთა ვნებათანი, ვითარცა ცხოველთ მხატვარმან ბრძენმან გამოსწერენ...

ვნატრი ძმობას შეერთებულსა სულისა მიერ წმიდისა და ვუგალობ ღვაწლთა ზიარებასა ქრისტეს მიერ, ვაქებ სიმხნესა ყოვლად სახელოვანსა... ჰოი დავით, დიდო მნათობო სოფლისაო და კონსტანტინე, მაგალითო საღმრთოსა მის სასურვოსა მხედრობისაო“.

მღ. მ. კელენჯერიძე.



ს ა უ კ უ ნ ე მ უ ა რ ი ბ ი

(რუსულით.)

როდესაც მე ვფიქრობ ქრისტეზე, იგი უფრო ხშირად წარმომიდგება ხოლმე არა ზეციურ დიდებით, „მარჯვენით ღვთისა მამისა“,

გარშემორტყმული მრავალრიცხოვან ანგელოზთა გუნდით. უფრო ხშირად იგი წარმომიდგება დევნულად ყოველგან, რაღაც საუკუნო ყარიბად.

ეს სამართლიანიც არის. ქვეყანაზე გარდამოსვლის წამიდანვე ჩვენს დრომდე იგი მართლაც დევნულია. ცოტა იყო სასიამოვნო და დიდებული წამები ღმერთკაცის ცხოვრებში...

განხორციელებული ღვთის გარდამოსვლა ქვეყანაზე ხდება საცოდავ, გლახაკ მოწყობილებაში. მხოლოდ უსახლკარო ობოლი შეიძლება დაიბადოს ამგვარ გარემოებაში.

ცივს, თუმცა კი სამხრეთის, ღამეში ქალწული მარიამი ჰპოებს თავშესაფარს არა მდიდრულს პალატებში, არც სოფელის უბრალო ქოხში, არამედ უკანასკნელ გამოქვაბულში, საცა ავდრიან ღამეებში მწყემსებს საქონელი შეჰყავდათ. ახლადშობილი საღმრთო ჩჩვილი დაიდების არა მშვენიერად მორთულ ლოგინში, არამედ უბრალო ბაგაში, სადაც ყრიდნენ საქონლისთვის საქმელს. მისი შობის ჟამს პირველი აღტაცებული ქებითი გალობა ამოდის არა პირთაგან კაცთა, რომელთა საცხოვრებლადაც მოვიდა ახლად შობილი, არამედ ანგელოზთაგან. ცის მნათობნიც კი შეკრთნენ; არა ჩვეულებრივი ბრწყინვალე ვარსკვლავი აღნთო ცაზე და მჭევრმეტყველად ამოწმებდა წინაშე მთელი ქვეყნისა დიდ მეუფის შობას, როგორც ჯერ არ დაბადებულა დედამიწაზე. მაგრამ სძინავს ღრმა ძილით დედამიწას, თითქო იმ ღამეს მახედ არაფერი არ მომხდარიყოს, აი ახლად შობილის თაყვანის საცემად ხალხიც მოვიდა; მაგრამ ესენი არ იყვნენ მღვდელთმთავრები, მეფენი ჩინებულნი, ანუ მდიდარნი, როგორც შეფეროდა.

შორეული ქვეყნიდან მოდიან ახლადშობილის თაყვანის საცემლად ბრძენნი, მაგრამ იერუსალიმში დიდ მეფეთა, წინასწარმეტყველთა, სიწმიდეთა და განცხადებათა ქალაქში ჯერაც კი არაფერი არ იციან იმის დაბადებაზე, რომელიც უპირველესად ყოვლისა აღთქმული იყო ამ მხრის მცხოვრებთათვის, მოვლინებულიყო, უპირველესად ყოვლისა, ისრაილის სახლის საცხოვრებლად, ღვთისგან გამოჩეული და

შეყვარებული ერისა. დიდად შეაძრწუნა იერუსალიმი მოგვთა კითხვამ: „სადა უკვე შობად არს ქრისტე“. მწიგნობრები დახვსებული სიძველის წიგნებში ეძებენ დიდ წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველებებს ქრისტე მაცხოვრის შობის აღვლის შესახებ. სცდილობენ გამოიკონ მისი დაბადების დრო... სამწუხარო მდგომარეობაა. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ პირველად თაყვანს სცემენ ახლადშობილს უბრალო მწყემსნი: რომლებსაც მაშინ ხალხი არაფრად ავდებდა. ასეთია პირველი ძღვენი ქვეყნისა ახლადშობილისადმი.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს წყნარი და წმიდა სიხარული, რომელიც მოიტანეს ღირსი გამოკვებულში მდაბალმა ბეთლემელმა მწყემსებმა, რომლებმაც თაყვანი სცეს საღვთო ჩვილს და აღიდეს ღმერთი ზეციდან ქვეყანაზე მოვლენილი უდიდესა წყალობისათვის. მეფე, მოადგილე დავითისა, რომელმაც იწინასწარმეტყველა ქრისტეზე, დიდად შეაწუხა ქრისტეს შობის ამბავმა. ტახტის დაკარგვის შიშით მან გააწყვეტინა ცნობილი ჰასაკის ყრუები ბეთლემის მიდამოებში. მას ეგონა, მთარიცხეში მოჰყვებოდა ახლად შობილი საღვთო ჩვილიც. დიდ ხანს არ გაუვლია მას შემდეგ, რაც დედამიწა მიეგება ზეცათა მოვლინებულს, მაგრამ ავერ გამოცხადდა, რომ „ეძიებდენ სულსა მისსა.“ ეძიებდენ სულს არა კაცის მკვლელი ბოროტმოქმედისა, არა ცოდვილი კაცისა, არამედ სულს ყოვლად უდანაშაულო, უწმიდესი და უუმანკოესი საღვთო ჩვილისას. სიბოროტე კაცთა იმოდენად ძლიერი და დიდი იყო, რომ ახლად შობილის გადასარჩენათ საჭირო შეიქმნა დატოვება ძვირფასი სამშობლოსი მისი დადი სიწმიდებით, საყვარელი და ძვირფასი მთებით, მინდვრებით და ტყეებით და ლტოლვა უცხო ქვეყანას, ეგვიპტეში, სადაც უველაფერი უცხო იყო ნამდვილი ისრაელის სულისთვის, სადაც ყოველივე წაპილწულიყო კერბთმსახურებით და უწმიდური ცოდვილი ცხოვრებით.

მაგრამ იცვალნენ დრონი. დაიხოცნენ ყოველნი, რომელნი „ეძიებდენ სულსა ყრმისა მის.“ აი მართამ ქალწული საღმრთო ყრვით

თავისი სავშობლო სახლის ქერ ქვეშ მყუდრო და საყვარელს ნაზარეთში. მაგრამ არც აქ იყო ბევრი რამ სანუგეშო. ყურადღებით დაუკვირდით იმ გარემოებათა, რომელთა შორისაც განვლეს ქრისტეს პირველმა წლებმა. ღარიბი ხუროს იოსების სახლი... ახალგაზრდა ყრმა შევლის დიდიდან საღამომდე თავისს მამას. არც ერთმა ნაზარეთელმა მცხოვრებმა არამც თუ არ იცის, ფიქრადაც კი არ მოსდის, რა დიდი საუნჯე იმყოფება მათს კედელთა შორის. ახალგაზრდა ყრმა არის მათთვის მხოლოდ „ძე ხუროსი“. არავინ არ იცნობს და არ აფასებს მას ნაზარეთს იქით. ყველანი ისევე ძველებურად სცხოვრობენ თითქოს ქვეყანაზე არაფერი არა ჩვეულებრივი არ მომხდარიყოს. თვით მწიგნობრებმა, მღვდელმთავრებმა, ფარისევლებმა — მერის წინამძღოლებმა, საღვთოწერილის მკოდნეებმა არც კი იციან, რომ ქრისტე იშვა. მაშინაც კი არ იციან, როცა იგი სდგას მათ წინაშე. იგინი ესაუბრებიან მას ტაძარში, სადაც მოვიდა ის — 12 წლის ყრმა თავისი მშობლებით, საუბრობენ დიდ ხანს და არა ხედვენ და ვერ მიხვდარან, ვის ესაუბრებიან. ნეტავი სინათლის ერთი სხივი მაინც შეპარულიყო მათს ბნელ სულში და გაენათლებინა ერთს წამს მაინც.

დგება დრო ქრისტეს საქადაგებლად გამოვლისა. გადის სამი წელიწადი შეუწყვეტელი ხარებისა. ძე კაცისა გადადის ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, მხრიდან მხარეში თავისი ახალი მოძღვრებით. სცხოვრობს, როგორც ღარიბი მწირი. ვის გულში არ აღბეჭდილან მისი სიტყვები მახედ, რომ ტყის ცხოველებს ზვრელი უჩნთ და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს, სადა თავი მიიდრიკოს. ყველგან დადის იგი ახალი სიხარების სიტყვით; ხშირათ ავიწყდება პური არსებისა და საჭირო დასვენება. ჩვენ იგი წარმოგვიდგება, როგორც უდიდესი „მეგობარი“ მეზვერეთა და ცოდვილთა, ღარიბთა და დაზარულთა და შეურაცხყოფილთა, მდიდართა და ჩინებულთა. იგი ერთა სიმრავლის წინაშე იქმს იმგვარ სასწაულთა, როგორც მოციქულ ქერ არ უნახავს ცოდვილ დედა-

შიწას. მრისხანე და უღმობელი ბუნება სძრწის მის წინაშე და ეშორილება მისს ბრძანებას. ეშმაკნი ხმამაღლად აღიარებენ მას ძედ ღვთისად. წარმართებს რომ ენახათ ქრისტეს სასწაულები, ადრევე შეინანებდნენ და ქედს მოიხრიდნენ მის წინაშე. მაგრამ რას შვრება ღვთისგან გამორჩეული ისრაილი?

მისს სასწაულებს ხსნიან ეშმაკის ძალით. თვით მას უწოდებენ „ეშმაკს“, „ეშმაკულს სამართელს“, „მსმელს და მქამელს“, „მეზვერეთა და ცოდვილთა მეგობარს“, ჰკიცხვენ სჯულის დარღვევისთვის, რაცხვენ მას საშიშ პოლიტიკურ აგიტატორად, შეცდომილ მწვალებლად. იქერენ მას თითქმის ყოველს სიტყვაზე, სკდილობენ გააბან იგი ეშმაკური კითხვებით და პასუხის გებაში მისცენ სჯულის დარღვევისათვის. მომღურავე ბრბო ხან ქვევს აგროვებს და მზად არის ჩააქვავოს იგი, ხან უპირებს კლდიდან გადაგდებას და სამუდამოდ ანდერძის აგებას შეძლებულს მოძღვრებას, გადარელები ეხვეწებიან ქრისტეს დასტოვოს მათი ქვეყანა, რადგანაც შიშობენ, რომ ქონებრივად დაზარალდნენ ამ არაჩვეულებრივ მოძღვრებისგან. ნელნელა სიძულილი ქრისტესადმი მივიდა იქამდე, რომ მას აშკარად ეძებენ მოსაკლავად. უბრალო ხალხს ტაძრიდან განკვეთის მუქარით, უშლიან მის სმენას და მიდევას. თვისი ამ ქვეყანაზე ცხოვრების უკანასკნელს თვეებში მაცხოვარს დაქირდა მორიდებოდა მტრებს.

ეუშზერ კვალად, და ვხედავ მას „სისხლის ოფლამდე“ მლოცველს გეთსამანიის მტილში; იგი ევედრება მამა ღმერთს მაზედ, რომ წარბედეს მისგან მომავალი სასმისი ჯვარზე საშინელ ტანჯვათა. იგი განზარტოებით ლოცულობს. ღრმა ძილს მისცემიან მისნი მახლობელნი, საყვარელნი მოწაფენი; ერთი მოწაფეთაგანი უკვე შეირყა სარწმუნოებაზე და გასცა იგი. წათებით შეიარაღებულნი მხედარნი, რომლებიც გამოვიდნენ მაზედ, როგორც ავაზაკზე, ლოცვის დროს იქერენ მას და მიყავთ სამსჯავროში. შიშით და ძრწოლით მოკულებმა, უსაყვარლესმა და უმახლობელესმა მოწაფეებმაც კი დასტოვეს იგი. ზეციური მოძღვარი

მარტო დარჩა კაცობრივი, ქვეყნიური სიმათლის წინაშე. ეკლის გვირგვინი, ყვრიშლის ცემა, ნერწყვა, გვემა, დაცინვა, სხვა და სხვა კიცხვა, საშინელი „ჯვარს აღე ეგე“, გოლგოთა და ჯვარი, ჯვართცმა ორ ავაზაკთა შორის, აი მსჯავრი სოფლისა თავის მაცხოვარზე.

წარმოითქვა უკანასკნელი სიტყვა: „აღესრულა“. გათავდა ქვეყნიური ღვაწლი; ძე კაცისა ზის ცეცხლის ფერ საყდარზე ერთად მამასთან და საღვთო სულთან, სრულის დიდებით. სიხარულით იცხება გული კაცისა, მაგრამ არა ხანგრძლივ. მწუხარება კვალად იწყებს ჩემი გულის ტანჯვას. მე ვეკითხები ჩემს თავს: გამოიცვალა ეხლა მისი ამაღლების შემდეგ მღვდმარეობა ქვეყანაზე, თუ კვლავინდებურად იგი დაიარება კაცთა შორის უბინაო ყარობად? გულდადებით ვაქქერდები წარსულს დროს, ვუთქვამდები სხვა და სხვა მოვლენებს და ცხადად ვხედავ, რომ იგი ამაღლების შემდეგაც დარჩა ისევ უბინო ყარობად ქვეყანაზე. როგორც იყო უწინ. მართლაც და, გაიხსენეთ თუნდაც ცოტათი პირვანდელი ისტორია ეკლესიისა და თქვენ ამაზე სრულიად დარწმუნებით.

ხალხი სიკვდილის შემდეგაც სდევნის მას, როგორც სდევნიდა სიკვდილამდე. არა მარტო მოძღვრება მისი, სახელიც კი სძაღლათ ბევრს, აცოფებდა და აბორგებდა მავალს. ბევრს არც კი უნდა მოსმენა ამ მოძღვრებისა და მტკიცედ აუკრძალეს მოციქულებს ქადაგება ქრისტეს შესახებ. მათ გადასწყვიტეს, რათაც უნდა დასჯდომოდათ, აღეგავათ პირისაგან ქვეყანისა ეს მოძღვრება. მოციქულებს ატუსაღებდნენ, სცემდნენ, ემუქრებოდნენ სიკვდილს. ბევრს მალე ხოცვენ კიდევც. ქრისტეს წმ. მეგობართაგან ბევრი არ მომკვდარა თავისი დლით. თითქმის ყველანი დაიღუპნენ ქრისტეს მტერთა და ჯალათთაგან.

შემდეგ?

შემდეგ ღება უფრო ძნელი დრო. წლითი წლობით თითქმის უფრო მატულობს ხალხში სიძულილი ქრისტესადმი. არა მარტო გაუნათლებელი და მოუხეშავი ბრბო, არამედ მე-

ფენიც, მდიდრებიც, მხედრებიც, ქურუმებიც გამოვიდნენ საბრძოლველად, „უგნურ“ და მაცდურ მოძღვრების წინააღმდეგ საბრძოლველად. რავდენი სისხლი დაიღვარა დაწყებული უმანკო ყრმათაგან ღრმა მოხუცთამდე. ქრისტიანებს უსევდნენ მხეცებს, ავდებდნენ მღვდარე ზეთში, ხრაკავდნენ გახურებულს მოაჯირებზე, სწავდნენ კოცონებზე, ასხავდნენ ადვილად ასანთებ სითხეს და ანათებდნენ მამხალეზად, ნაკუწ-ნაკუწად სჭრიდნენ, ასალაშინებდნენ სხვა და სხვა ნაირი რკინის მჭრელი და ჩლუნგი იარაღებით. ქრისტიანების შესახებ ავრცელებდნენ სხვა და სხვა ქორებს, აგინებდნენ მათს უდიდესს სიწმიდეთა. კაცთა ბოროტებამ მოლია ყოველი საშუალება ამ სახელთან გამწვავებულ ბრძოლაში. შეუძლებელია გამოგონება იმისთანა რომ სასჯელის, რომელიც არ ეცადნათ წარმართებს ქრისტიანებზე. მე მგონია, რომ ამ დროის ხალხს არაოდეს ბოროტობაჰქმედნი და ავაზაკნი არ გაუციხია ისე, როგორც ქრისტიანები. მგონია კიდევ, რომ ამ დროს სდევნიდნენ ქრისტეს უფრო სასტიკად, ვიდრე მის ქვეყანაზე ცხოვრების უამს.

განვარგძოთ მსვლელობა. განვლოთ პირველ საუკუნეთა შემდეგნი წელნი, გადმოვიდეთ პირდაპირ ჩვენს დროში და შევხედოთ ქრისტეს ხედვრს ქვეყანაზე. როცა მე ღრმად უკვირდები ჩვენი დროის ხალხის ცხოვრებას, ჩემი გული კვლად ივსება შიშით და მე უნებლიეთ ვფიქრობ, იქნება ჩვენც ვდევნით ქრისტეს ისევე, როგორც მას სდევნიდნენ უწინ? იქნება იგი ჩვენ შორისაც დაიარება უსახლკარო ყარბად? და მეშინიან ვთქვა, რომ ჩვენს ხელებზე და ტანისამოსზე არ არის წინწყლები ამ საშინელი და წმიდა სისხლისა...

მართალია, ჩვენ არ გვინთია კოცონები, რომლებშიდაც იწოდნენ ქრისტიანები; არსად არა ვხედავთ, რომ ვინმემ დაღვაროს ქრისტიანის სისხლი ქრისტეს სარწმუნოების აღსარებისთვის. არა სხედან ქრისტიანები საპყრობილებებში თავისი სჯულისთვის. არ ემალებიან ეხლანდელი ქრისტიანები ხალხს ღვთის მსახურების აღსრულების დროს. სვინიდისის თავი-

სუფლებაც კია წარმოთქმული. მაგრამ ღრმად ჩაუკვირდით ცხოვრებას და დაინახავთ, რომ ეხლაც ჩვენში სდევნიან ქრისტეს და შეიძლება უფრო სასტიკად, უფრო მეტად, ვიდრე უწინ. გამოიცვალნენ მხოლოდ საშუალებანი ბრძოლისა ამ ძვირფას სახელთან. ისინი ეხლა უფრო მკვეთრება, შეუმჩნეველნი და ხელოვნური გახდნენ.

ჩვენს უწინდელს მტერს არა სძინავს ეხლაც. ის ებრძვის კაცობრიობას, როგორც ქრისტეს წინააღმდეგ გამოვდა უდაბნოში. წაიკითხეთ თანამედროვე წიგნები, ჟურნალგაზეთები, ყური დაუგდეთ ზოგიერთ სწავლულ კაცებს, წადით თეატრში და სხვა გასართობ დაწესებულებაში, დაათვალიყურეთ ცნობილი ჯურის მხატვრობა, შეიხედეთ ბევრის სახლებში და თქვენ დაინახავთ, როგორ სისტემატიურად თან და თან აძევებენ ამ წმიდა სახელს კაცთა ცნობიდან. ბევრის ცხოვრება ვეღარ ეტევა ქრისტეს მოძღვრების ვიწრო ფარგალში. ბევრნი ამაოდ დაატარებენ ქრისტიანის სახელს. აღარას ვამბობ ეკლესიის, მღვდელთა და მღვდელთმთავართა აშკარა და უკმეხ დატინვაზე. აღარას ვამბობ შესახებ ზოგიერთა უგუნურთა, რომელთაც სურთ ძალაობით აღგავონ პირისაგან ქვეყანისა მათგან მოძულეებული სჯული ქრისტესა. აღარას ვამბობ შესახებ ბრძოლისა ამ სახელის გამო სხვა და სხვა აღსარების ქრისტიანთა შორის. მე მსურს ვთქვა, რაიმე უფრო უმეტესი. ჩვენ თვითონ ხომ არ ვდევნით ქრისტეს?

ჩაუკვირდეთ ამას, გამოვცადოთ თავნი ჩვენნი. იმყოფება იგი ჩვენს გალში, თუ იქნება დიდი ხანია უკვე იგი განდევნილია იქიდან და სდგას ჩვენი შინაგანი სახლის კარებთან და ამაოდ „რეკს“? ჩვენ აღარ გვესმის ეს მაცხოვრებელი ხმოვა და არა ვგრძნობთ საიდუმლო სტუმრის ახლო ყოფას ჩვენ ახლო. იმყოფება იგი ჩვენს სახლში, თუ, შეიძლება, იქიდანაც დიდი ხანია, რაც გავაგდეთ ჩვენ იგი დიდი ხანია, რაც ვემსახურებით სხვა უფალს? იმყოფება იგი ჩვენს ცხოვრებაში, ან იქნება, უკვე დიდი ხანია, რაც დავდივართ ჩვენი სულისთვის უცხო დროშას ქვეშ. არ დადის იგი

ჩვენ ქალაქთა და სოფელთა გზებზე „შიშველი“, „მწყურვლი“, „მშიერი“, „გლახაკი“, „ავადმყოფი“ და „უცხო“? არ იმყოფება იგი საპროილესა შინა? იქნება იგი მრავალგზის მოსულა ჩვენთან, ჩვენს სახლში, უთხოვია ჩვენთვის პური და სამოსელი და ჩვენ კი უარი უთხოხარით მას ერთზედაც და მეორეზედაც. იქნება არა ერთ გზის გვიხილავს იგი გზაზე, მაგრამ ზურგი შეგვიტყვევია მისთვის? მივედით ჩვენ მასთან სანახავად საპრობილეში და საავადმყოფოში? იქნება დადის იგი ჩვენ სახლებში, გზაზე და ეხლაც ყველგან ამბობს: არც აქა მაქვს მე „საყოფელი“ არ დადის განა იგი ჩვენს დროში უბინაო ყარობად?

ჩვენ ვიქით ზოგიერთა კეთილ საქმეებს. მაგრამ რაოდენ მცირე არიან ესენი ჩვენს სულში ღვთის სახლის ასაშენებლად. ჩვენ წარმოვთქვამთ პირით ქრისტეს სახელს, მაგრამ, როგორ ცივია მაშინ ჩვენი გული, როგორ მცირედ აღგზნებულია იგი. ჩვენ ვუშენებთ მას ტაძრებს, მაგრამ განა მარტო ნივთიერი ტაძარი უნდა მას? ჩვენ არ ვაძლევთ მას იმას, რასაც იგი ყველაზე უმეტესად მოელის ჩვენგან, — ჩვენს გულს. ჩვენი გული დახშულია მისთვის; მაშინ მისთვის „ვიწროობაა.“ ჩვენ ვუშენებთ მას ტაძრებს, მაგრამ არ გვინდა თვითონ ვემსახუროთ მას. რა მშვენივრად ამბობს ამაზე პოეტი: „ისრაილო შენ მიშენებ მე ტაძრებს, რომლებიც ოქროთი ბრწყინავენ, მაოში იკმევა გუნდრუკი და დღედამ ცეცხლი ანთია.—რად მინდა მე ამ ტაძრების თაღები, ძვირფასი ქვა და მიწა, მე შევქმენ დედამიწა, შევქმენ წყალნი, მე ცა შემოვხაზე თითით, ვისურვებ და სიტყვით განვაფრკობ თქვენთვის უცოდინარს სასწაულთა საზღვარს. შენი ძღვენი ნაკლებია. არის ძღვენი დაუფასებელი, ძღვენი საკირო ღვთისათვის. შენ მოდი ამ ძღვენი და მე მას ყველას მივიღებ. მე მსურს გული ოქროზე უფრო სუფთა და შრომაში ძლიერი ნება, მე მსურს ძმა მოყვარული ძმისა და სიბართლე სამსჯავროში“. და აი ჩვენ ამას, რაც ღმერთსა სურს არ ვაძლევთ მას. მას კი არსად არა სურს ცხოვრება გარდა კაცის გულისა. და მე მგონია, რომ აქამდისაც დედამიწაზე ქრისტეს

მომეტებულს შემთხვევაში არა აქვს სადა თავი მიიღრიკოს.

და დიდ ხანს კიდევ დიდ ხანს ივლის იგი ქვეყანაზე დევნილი და უბინაო ყარობად. ჯერ კიდევ საუკუნეთა განმავლობაში იქნება იგი „ქედ შებრკოლებისად“ მრავალთათვის, იქნება დაცემად და აღდგომად მრავალთათვის. როცა ცხოვრების „კალოზე“ ნიჩაბი გაჰყოფს იქვლს ღვარდლისგან, ნათელი განიყოფება ბნელისგან, მფლობელი ბნელისა განიდევნება, იქნება ახალი ზეცა და ახალი ქვეყანა, მხოლოდ მაშინ ქრისტე აღარ იქნება უბინაოდ ქვეყანაზე.

ამის ყოვლის მხედველნი ნუ მივეცემით სასოწარკვეთილებას. ასეთია კანონი ცხოვრებისა. ბოროტს არ შეუძლიან უბრძოლველად ადგილი დაუთმოს კეთილსა. კეთილიც არ დაიმკვიდრებს ერთა შორის ძალდატანებას და უსამართლობის საშუალებით. მხოლოდ თავისუფლად ამორჩეულს კეთილს აქვს ფასი ღვთის თვალში, ქრისტესთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მის თავისუფალს თავიანისცემას. აი რის გამოა, რომ ქრისტე და ანტიქრისტე იმოქმედებენ ქვეყანაზე საუკუნეთა აღსასრულამდე.

ძმაო ქრისტიანო! ეეცადნეთ, რომ აწინდელ ცხოვრების განსაცდელთა შორის არ გაუშვით ხელიდან ქრისტესთან შემაერთებელი ძაფი სიმდაბლით, მოკრძალებით მოვიდრიკოთ თავი ქრისტეს წინაშე, ვეაზობროთ მის წმიდა ფეხებს და სამოგზაურო სამოსელს. ჩვენ ვიცით, რომ ქრისტე ქვეყანაზე ყოველთვის დევნილი იქნება. მაგრამ ჩვენ ვიცნობთ მას ამ „უცხო“ სახითაც და მტკიცე სარწმუნოებით თავიანს ვცემთ მას და აღვიარებთ ჩვენ ღვთად და მაცხოვრად.

უფალო, შეგვიწყალენ ჩვენ, გარდავქმნათ ჩვენი გული „ქვაბად“ შენთვის და შენ იქნები ჩვენი საუკეთესო სტუმარი, მეგობარი და მოძღვარი.

ნაცარყანელი.





ჭ მ უ ნ ვ ა.

(მატერიალისტის ბოლო.)

ვაიმე წუთის სოფელთ,
გხედავ, შელევა დღენა,
აქ მათაჲდება ყოველი
ჭირი და მოსაღსენია.

რაც ვაფუფუნე ეგ სორცი,
კაღმერთე ჩემი კუჭია,
სული უვარეყავ სორცისთვის,
გხედავ დღეს ყველა ფუჭია.

კატეობ: სიცოცხლე შელევა,
სამარისაგან ვიწვევი,
ხსოვნადგან ჭჭრება ყოველი:
გჭამდი, გსვამდი თუ ვიწვევი.

კუჭა რომ დმერთად ვიწამე,
იგი დღე, ვერას მეწვევა,
ჭამა-სმაც აღარ მარგია...
კატეობ, სიკვდილი მეწვევა.

მეშ, რაღა დამჩნა მე ბოლოს?
სიკვდილი სულის, ხორცისა?!
სასოება და იმედი
უნდა დაკვარგო ზეცისა?!

მეშ, მე და ყველა ჰირუტევი
გუაფილვართ თანასწორია:
სიცოცხლით ღეში, ჭამისთვის,
სიკვდილს შემდეგაც მძიროა!!!

ანა! ეს რწმენა ტყველია,
ცრუ ოცნების მხმობელი;
კაცი შეფა ყოველი
ქმნილებას პატრონ-მპყრობელი.

სული და აზრი—ეს ორი,
ზეცით აქვს მონიჭებული,
ამას ადვილად მიხედება
კაცი ბრძენ-მოდანჭებული...

თუ აზროვნება უკვდავად
აქ რჩება გაუქრობელი,

მათ უფრო აზრის შემქმნელის
სულია გაუქრობელი...

კაცს ბუნებაში ორი აქვს
მიმართულება აზრისა,
ერთი უარის შეყოფელი
და ერთიც მოქმედი მართლისა.

დამძლია მედგრად ჰირკელმა,
უარევე ზეცის ყოველი...
სამარის კარზე მისრული
კიდევ შესდობას მოკვლი.

ასე მატერიალისტსაც.
რწმენა ამკვრად ეცვლება:
„სული უკვდავი არისო“,
ეს რწმენა უორკვდება,

ასე კაცის ბუნებაც:
აზრი აზრს შეეჭანება
და რწმენა საუქვობსო
ბოლოს გამოინახება.

ასე ხალხის თქმულებაც,
რომ „ნასიფილას ბუაქე
ერთხანს ისტუნებს ბრეფულად
და ბოლოს მოვა ტყუასე“.
რ. საჯავახოელი.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მახალიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

გ ა ნ ც ხ ა დ ე გ ა

გამოვიდა და ისეიდება ავტორთან „ში-
ნაური საქმეები“: რედაქციაში
ახალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი
მოკლე საეკლესიო ისტორია დეკ 3.
სმირნოვისა, საქართველოს საეკლესიო ისტო-
რიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით. ფასი
60 კ., ვინც 10 ცალზე მეტს გაიწერს 10
პროც. დაეთმობა.
იქვე ისეიდება წიგნაკი „ქრისტიანობა ბე-
ბელის ლაბორატორიაში“ კრიტიკული
შენიშვნები ცნობილ ბებელის წიგნაკზე „ქრი-
სტიანობა და სოციალიზმი“ ფასი **ორი**
შაური.